# გადაწყვეტილება # P21000039/3 ( 25/11/2021 23:54:28)

## განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**P21000039** 22/11/2021 14:39:11 ( განმცხადებელი: ზურაბ მახარაძე ), რომლითაც მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) რეგისტრაცია.

**მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია)**
დასახელება: **კონსერვატიული მოძრაობა**

I. აღწერილობითი ნაწილი:

განმცხადებლის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2021 წლის 22 ნოემბერს წარდგენილია #P21000039 განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან (ყრილობის ოქმი, წესდება, ცნობა და თანხმობა იურიდიული მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ, თავმჯდომარის ხელმოწერის ნიმუში, პარტიის წევრთა სია (მატერიალური, ელექტრონული), სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი) ერთად. აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „კონსერვატიული მოძრაობა“ რეგისტრაცია.

სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება რეგისტრაციის პირობებს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დასაბუთება

2.1 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს № 161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია ხელმძღვანელი პირის (პირების) ხელმოწერილი განცხადების წარდგენის ვალდებულება.

ყრილობის ოქმის მიხედვით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების გენერალურ მდივნად (ხელმძღვანელ პირად) არჩეულ იქნა გიორგი ქარდავა, რომელიც ხელს არ აწერს წარმოდგენილ განცხადებას.

2.2 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ყრილობის მიერ დამტკიცებული წესდების 22.2 მუხლის მიხედვით, „წესდება ძალაში შედის დამფუძნებელი ყრილობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.“

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი წესდება ხელმოწერილია მხოლოდ ყრილობის თავმჯდომარის მიერ.

2.3 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს № 161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „პარტიის რეგისტრაციისათვის, პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში, სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მოწმობის ნომრის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, ტელეფონის ნომრის მითითებითა და მათი ხელმოწერებით. აღნიშნული ინფორმაცია დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ისეთი ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ცხრილის სახით - xlsx, cvs, ან მსგავსი ფორმატი; კოდირება UTF8), რაც რეგისტრაციის სამსახურს მისცემს შესაბამისი მონაცემების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავების შესაძლებლობას. ელექტრონული ფორმით შედგენილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანმიმდევრობით და სიზუსტით, როგორც ეს მითითებულია ქაღალდის მატარებელზე.“

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრთა სია არ შეიცავს ინფორმაციას მათი პირადობის მოწმობის ნომრების შესახებ.

2.4 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-13 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის სახელწოდება, აგრეთვე მისი შემოკლებული დასახელება, თუ ასეთი გამოიყენება.

სარეგისტრაციოდ წარდგენილ წესდებასა და თანდართულ დოკუმენტებში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდება მითითებულია არაერთგვაროვნად.

2.5 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდების 21.2 მუხლის მიხედვით „პარტიის ემბლემა არის შინდისფრად გამოსახული 5 მცირე ზომის ჯვარი, რომელიც მთლიანობაში გამოსახულია ერთი დიდი ზომის ჯვრის სახით. ჯვრის გვერდით, ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილია პარტიის ოფიციალური დასახელება.“

სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ემბლემის ესკიზი არ შეესაბამება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდებით განსაზღვრულ აღწერილობას.

2.6 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-16 მუხლის 1 პუნქტის და მე-17 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები არიან: „პარტიის წევრთა ყრილობა (კონგრესი, ასამბლეა, კონფერენცია და სხვ.), გამგეობა (საბჭო, დარბაზი, სამდივნო, კომიტეტი და სხვ.), სარევიზიო კომისია (საზედამხედველო კომისია, საკონტროლო კომისია და სხვ.). პარტიის ხელმძღვანელი ორგანო – პარტიის წევრთა ყრილობა არის პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.“

სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდებით პარტიის ყრილობა არ არის განსაზღვრული ხელმძღვანელ ორგანოდ. ასევე, სარევიზიო კომისია არ მოიხსენიება ერთგვაროვნად წესდების 6.4, 6.6, 6.7, 12.1.6 მუხლებში.

2.7 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-17 მუხლის შესაბამისად, „ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევა.“

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდების 10.3 მუხლი პარტიის პოლიტიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიისა და პარტიის თავმჯდომარის არჩევის ნაცვლად ითვალისწინებს დანიშვნას.

2.8 საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის ქონების შექმნის წყაროები და მისი გამოყენების წესი.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდება პარტიის ქონების გამოყენების წესს არ ითვალისწინებს.

2.9 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წესდების 16.3. მუხლის მიხედვით, „პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს პოლიტიკური საბჭოს მიერ არჩეული პოლიტიკური საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“ ამავე წესდების 17.5 მუხლის მიხედვით, „პარტიის გენერალური მდივანი ასრულებს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას პარტიის თავმჯდომარის არყოფნის და/ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.“

წესდების 16.3. და 17.5. მუხლები ურთიერთშეუსაბამოა.

3. დასკვნა:

3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა ურთიერთშეჯერების შედეგად, დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.

3.2. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ 23-ე მუხლის 1 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 83-ე მუხლის საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის“ 4 პრიმა მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე გადაწყვიტა:

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება #P21000039 განცხადებაზე.

2. დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად განისაზღვროს 10 დღის ვადა.

3. რეგისტრაციის მიზნით, დამატებით წარდგენილ იქნეს, წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სათანადო წესით შედგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

4. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.